

# საქართველოს კანონი

## სანაპირო თევზჭერის შესახებ

ეს კანონი ადგენს სანაპირო თევზჭერის წესებს, განსაზღვრავს წყლის ყველა ტიპის ზომამცირე სატრანსპორტო საშუალებების (ნავები, ნახევარბარკასები, მოტოფელუგები, მცირე სიმძლავრის კატარღები და სხვა) გამოყენებას საქართველოს შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიულ ზღვაში სანაპირო თევზჭერის შემთხვევაში თევზის ან წყლის ცოცხალი ორგანიზმების მოპოვებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით განსაზღვრავს მოქალაქეთა (საქართველო, უცხოეთი) სანაპირო თევზჭერის განხორციელებისას მათ უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას განსაზღვრავს სანაპირო თევზჭერის პროცედურების გამარტივებას დამატებითი სამართლებრივი ჩარჩო რეჟიმის შექმნით.

### თავი I. ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. კანონის რეგულირების საგანი

ეს კანონი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს გარემოს დაცვის ინსპექციას, ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას, სასაზღვრო პოლიციასა და რეგულირების ობიექტებს შორის საქართველოს მთელ საზღვაო პერიმეტრზე. მოიცავს ზღვის შიდა წყლებისა და ნაპირიდან 1 საზღვაო მილის მანძილზე არსებულ შელფის ბუნებრივ რესურსებს, არეგულირებს გარემოსა და საზღვრის დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას.

#### მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზანი

კანონის ძირითადი მიზანია გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება ზღვის შიდა წყლებისა და სანაპირო (ნაპირიდან 1 საზღვაო მილის მანძილზე) შელფის ბუნებრივ რესურსებზე, კერძოდ:

- ა) ბუნებრივი ეკოსისტემებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება;
- ბ) რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნილებათა შესრულების სათანადო დონის შენარჩუნება;
- გ) საზოგადოების მხრიდან გარემოსდაცვითი რეგულირების სისტემებისა და ზოგადად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიმართ ნდობის განმტკიცების, გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის სფეროში ანგარიშებისა და გამჭვირვალობის საფუძველზე;
- დ) თევზჭერის პროცესში დაცული იყოს ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობები;

ე) ჩამოაყალიბოს და დაიცვას საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობები, ხელი შეუწყოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას, შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან და რაციონალურ გამოყენებას.

#### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოიყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. **სანაპირო თევზჭერა** – საქართველოს შიდა წყლებისა და ტერიტორიულ ზღვის ლანდშაფტში ნაპირიდან 1 საზღვაო მილის მანძილზე თევზის ნებადართული მოპოვება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით;

2. **თევი** – წყლის ხერხელმიანი ცხოველები, რომლებსაც არა აქვთ სხეულის მუდმივი ტემპერატურა, სამრეწველო (სარეწაო) თევზჭერისას ტერმინში „თევი“ მოიაზრება ასევე კობოსმაგვარები და ზღვის ძუძუმწოვრები;
3. **სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა** – თევზჭერა პირადი მოხმარებითი ყველა სისტემის და ხელის ანკესით, სპინინგით, სასროლი ბადით, ხოლხი ბადით და ჩოგანბადით. ასევე წყალქვეშა ნადირობა და ჰიდრობიონიკების შეგროვება, აკვალიანგისა და სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობების გამოყენების გარეშე;
4. **ტრადიციული თევზჭერა** – თევზისა და ჰიდრობიონიკების სარეწაო მოპოვება ტრადიციული საშუალებების გამოყენებით;
5. **სამრეწველო თევზჭერა** – წარმოადგენს თევზის, კობოსმაგვართა, მოლუსკების, წყალმცენარეების და ზღვის ძუძუმწოვრების მოპოვებას მათი შემდგომი გადაამუშავების და/ან რეალიზაციის მიზნით.
6. **თანჭერილი** – თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებულ თევზის სახეობებთან ერთად თევზსაჭერ იარაღებში მოხვედრილი არასარეწი ზომის და სხვა სახეობის თევზები (სხვა ჰიდრობიონტები).
7. **სახლართი გიპის ბადეები** – ბადისებური თევზსარეწი იარაღები, რომელთა მექანიზმით ჭერა ემყარება, თევზის ან სხვა წყლის ჰიდრობიონტების აგებულებისა და ბიოლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარე, გახლართვის და შებოჭვის პრინციპებს.
8. **თევზმახეები** – ბადისებური ან სხვა მასალისაგან კონსტრუირებული სტაციონარული თევზსაჭერი იარაღები, რომელთა ჭერის პრინციპი ემყარება, იარაღის კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, თევზების მასში მოხვედრასა და დაგროვებას; აღჭურვილია “ძაბრისებური”, “კონუსისებური” ან სხვა გიპის შესასვლელებითა და თევზის სამიგრაციო გზების გადაშეკეტი და მიმართველი ბადისებური კედლებით.
9. **ჩასადგმელი იარაღები** – სტაციონარული გიპის სხვადასხვა ზომის ნემსკავებით აღჭურვილი თევზსარეწი იარაღები.
10. **პარამუტისებრი (გუმბათის გიპის) ბადეები** – აქტიური მოქმედების თევზსაჭერი იარაღები, რომლებითაც თევზჭერა ემყარება წყლის სივრცეში ვერტიკალური დაფარვის წყალგაწურვის პრინციპებს.
11. **ფაცერი (ე.წ. თობა ბადე)** – სტაციონარული თევზსარეწი იარაღები, რომელთა ჭერის პრინციპი ემყარება გარკვეული მოცულობის ვერტიკალურ წყალგაწურვას ზემო მიმართულებით (სპეციალური ბადის ამწევი მექანიზმით).
12. **ნემსკავები** – რკინის ან სხვა მასალისაგან დამზადებული, მომრგვალებული ფორმის წამახვილებული დაბოლოებებით, თევზსაჭერი იარაღის კონსტრუქციული ელემენტი.
13. **ანკესი** – სხვადასხვა სახის პოლიმერული ან ბოჭკოვანი მასალისაგან დამზადებულ გრძივ ძაფზე, დამონტაჟებული ნემსკავებით აღჭურვილი თევზსაჭერი მოწყობილობა (სამანიპულაციო ჯოხით ან მის გარეშე).
14. **სპინინგი** – გასაშლელი და დასახვევი მოწყობილობით აღჭურვილი ანკესი.
15. **ხოლხი** – მცირე ზომის თევზმახე, რომლის ჭერის პრინციპი ემყარება “ჩიხის პრინციპს.
16. **ნებართვა** – ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისთვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან;
17. **სანებართვო მოწმობა** – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი;
18. **ნებართვის მაძიებელი** – ნებართვის მიღების მსურველი პირი;
19. **ნებართვის გამცემი** – ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონით დადგენილი წესით გასცემს ნებართვას;
20. **სანებართვო რეესტრი (სახელმწიფო, უწყებრივი)** – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების თაობაზე;

21. **ნებართვის მფლობელი** – პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული ქმედება, ან სხვა ნებართვის მფლობელის მიერ გადაცემული აქვს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება;

22. **სანებართვო მოსაკრებელი** – ერთჯერადი სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ან შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო), რომელსაც ნებართვის მაძიებელი იხდის კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო) დადგენილი ოდენობით, მისთვის კანონით განსაზღვრული სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭებისათვის. სანებართვო მოსაკრებლით გაითვალისწინება ნებართვის გაცემის ადმინისტრირების ხარჯები;

23. **პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;

24. **სანებართვო პირობები** – კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნებისა და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

25. **საქართველოს შიგა წყლები** - მდინარეების, ტბების და სხვა წყლის ობიექტების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად ეკუთვნის საქართველოს; შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და გერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; საქართველოს ნავსადგურის წყლები, რომლებიც შემოსამღვრულია ზღვის მხარეს ნავსადგურის ჰიდროგექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამაგალი ხაზით.

26. **საქართველოს ტერიტორიული წყლები** – შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

27. **კონტინენტური შეღვის რესურსები** - ზღვის ფსკერზე და მის წიაღში არსებული წიაღისეული და სხვა არაცოცხალი რესურსები, ზღვის ცხოველთა სამყაროს ის ობიექტები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც მათი სარეწაო მოპოვებისათვის განსაზღვრულ პერიოდში მიმაგრებულნი არიან ზღვის ფსკერზე ან წიაღში, ან შეუძლიათ გადაადგილდნენ მხოლოდ ზღვის ფსკერზე ან მის წიაღში.

28. **სატრანსპორტო სისტემა** – საავტომობილო, საზღვაო/სამდინარო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროს სატრანსპორტო საწარმოთა, ხელოვნურ სატრანსპორტო ნაგებობათა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო ქსელისა და მათი მართვის სისტემათა ერთობლიობა;

29. **ტრანსპორტის სფეროში საქმიანობა** – საავტომობილო, საზღვაო/სამდინარო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროში სატრანსპორტო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა;

30. **სატრანსპორტო საშუალება** – მგზავრების გადასაყვანად და ტვირთების გადასაზიდად, აგრეთვე საავიაციო სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებული მოძრავი სატრანსპორტო ერთეული: საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო, სამდინარო;

31. **სატრანსპორტო პროცესი** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრების გადაყვანასა და ტვირთების გადაზიდვას, აგრეთვე საავიაციო სამუშაოების შესასრულებლად მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

32. ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია (შემდგომში – ადმინისტრაცია) – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც ტრანსპორტის სფეროში ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

33. სახელმწიფო რეგისტრაცია – ტრანსპორტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით სატრანსპორტო სისტემისა და საშუალებების აღრიცხვასთან დაკავშირებული საქმიანობა;

34. ტრანსპორტის სფერო – სატრანსპორტო სისტემისა და სატრანსპორტო პროცესის ერთობლიობა;

35. ტექნიკური რეგლამენტი – „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტი;

36. ტექნიკური რეგულირება – ტრანსპორტის სფეროს უსაფრთხოების მიზნით ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება, გამოცემა და მათი შესრულების ზედამხედველობა.

## თავი II. სანაპირო თევზჭერის საქმიანობის ტენიკური საშუალებები და თევზის მარაგის დაცვის წესების შესახებ

### მუხლი 4. თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების მოქმედების სფერო

ამ თავით განსაზღვრული წესების მოქმედება ვრცელდება საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებზე, შიგა წყლებზე და კონტინენტურ შეღწეზე, რომელიც გამოყენებული იქნება ან შეიძლება გამოყენებული იქნეს ამ კანონით განსაზღვრული წესებით, თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების რეწვისათვის, ან/და აქვთ მნიშვნელობა სარეწაო თევზის მარაგის აღდგენისათვის.

### მუხლი 5. სანაპირო თევზჭერის აკრძალვის ვადები და სახეები

1. თევზჭერის ვადები თევზის სახეების მიხედვით განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებითა და შავი ზღვის კონვენციით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად „თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღების შესახებ“;

2. თევზჭერა აკრძალულია შავი ზღვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში 1 მაისიდან 1 ივნისამდე. ამ პერიოდში შესაძლებელია მხოლოდ მოლუსკების აკვალანგებით ან სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობებით შეგროვება და მოსასმელი და სახლართი ტიპის ბადით, რომლის თვალის ზომა არ უნდა იყოს 40 მმ-ზე ნაკლები, კეფალ-პელენგასის ჭერა;

3. კონკრეტულ შემთხვევებში აკრძალვის ვადებს და სახეებს ადგენს და აქვეყნებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მისი გათვალისწინება და დაცვა სავალდებულოა რეგულირების ყველა ობიექტებისათვის, მისი გამოქვეყნების დღიდან.

### მუხლი 6. ჭერააკრძალული თევზების სახეობები:

1. აკრძალულია ჭერა (მათ შორის თანჭერილიც), რეალიზაცია და შენახვა თევზის შემდეგი სახეობების:

- ა) ზუთხისებრთა – მთელი წლის განმავლობაში;
- ბ) ზღვის ძუძუმწოვრების – მთელი წლის განმავლობაში;
- გ) შავი ზღვის ორაგულის – მთელი წლის განმავლობაში;
- დ) ე) ქამბალა-კალკანის – 15 აპრილიდან 15 მაისამდე;

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სახეობების თევზსაჭერ იარაღებში მოხვედრისას დაუყოვნებლივ ექვემდებარებიან საბინადრო გარემოში გაშვებას.

3. შეიძლება განხორციელდეს თევზჭერის ცალკეული კონკრეტული შემთხვევები, რომელსაც ადგენს და აქვეყნებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

## **მუხლი 7. თევზჭერისათვის აკრძალული საშუალებები და ხერხები**

1. აკრძალულია თევზჭერა:

ა) ნებისმიერი სახის ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებით;

ბ) ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით და თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოებით;

გ) ცეცხლსასროლი და პნევმატური იარაღებით;

2. აკრძალულია წყალქვეშა ნადირობა თევზებზე ჰარპუნის ტიპის იარაღით, აკვალანგებისა და სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობების გამოყენებით.

3. აკრძალულია სანაპირო თევზჭერა ხორციელდებოდეს ზღვის ლანდშაფტის წინასწარი მონიშვნით, გარდა სტაციონარული კანონით დაშვებული საქმიანობის განხორციელებისა (ზღვის მიდიების ფერმერული წესით მოპოვება) და სხვა.

4. აკრძალულია თევზჭერა ლეგალური ბადე-იარაღებით მარკირების გარეშე.

## **მუხლი 8. ბადის თვლის ზომები თევზსაჭერ იარაღებში**

1. ბადის თვლის ზომად მიიჩნევა ბადის თვლის ერთი გვერდის სიგრძე ანუ მანძილი მილიმეტრებში კვანძის შუა წერტილიდან – მეზობელი კვანძის შუა წერტილამდე. ბადის თვლის ზომას განსაზღვრავს მისი გაჭიმვის სიგრძე და 11 კვანძს შორის დადგენილი მანძილის 10-ზე გაყოფით, როცა თვლის ზომა 30 მმ-ზე ნაკლებია; 6 კვანძს შორის მანძილის 5-ზე გაყოფით, როცა თვლის ზომა 30 მმ-ზე მეტია.

2. თვლის ზომები თევზსაჭერ იარაღებში განისაზღვრება ამ კანონის დანართი 1-ის შესაბამისად.

## **მუხლი 9. ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალური სიგრძე**

1. ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალურ სიგრძედ მიიჩნევა უკუდისფარფლოდ, ანუ მანძილი მილიმეტრებში დინგის წვეროდან (დახურული პირის დროს) კუდის ფარულამდე. დამუშავებული, დამარილებული, გამხმარი და შებოლილი თევზის გაზომვისას სიგრძე 4 %-ით იზრდება.

2. ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალური სიგრძე განისაზღვრება ამ კანონის დანართი 2-ის შესაბამისად.

3. ჭერისათვის დასაშვები მინიმალური სიგრძის თევზების მაქსიმალური დასაშვები თანჭერილის გათვალისწინება წარმოებს სამრეწველო ყველა დანიშნულების სანაპირო თევზჭერის დროს.

4. თევზმომპოვებელი ვალდებულია იმგვარად შეარჩიოს თევზსაჭერი იარაღის თვლის ზომა, რომ ჭერისათვის დაშვებული მინიმალური სიგრძის თევზების თანჭერილი არ აღემატებოდეს 20%-ს. (დათვლით ან წონით). ჭერისათვის დაშვებული მინიმალური სიგრძის თევზების თანჭერილის (20%) გადამეგება ითვლება თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევად და დამრღვევს ეკრძალება თევზჭერის გაგრძელება.

## **მუხლი 10. სანაპირო თევზჭერის წესები**

1. სანაპირო თევზჭერა წარმოებს ნებართვების საფუძველზე და იგი ექვემდებარება შავი ზღვის კონვენციას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს. ხორციელდება ამ კანონით გათვალისწინებული პირობებით და სპეციალური ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებით..

2. სანაპირო თევზჭერის ნებართვა არ გაიცემა, თუ ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს ყალბ ან არასრულ ინფორმაციას.

3. სანაპირო თევზჭერის ნებართვის გაცემას აწარმოებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანებით უფლებამინიჭებული ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც ადგენენ სანებართვო მოსაკრებლის სიდიდეს და განსაზღვრავენ სანებართვო პირობებს.

4. სანაპირო თევზჭერად მიიჩნევა თევზჭერა, ყველა სისტემის და დასახელების თევზსაჭერი საშუალებების გამოყენებით, კანონმდებლობით დაწესებული პირობებითა და წესებით, ასევე წყალქვეშა ნადირობა და ჰიდრობიონიგების შეგროვება აკვალანგებისა და სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობებითა და კანონმდებლობის შესაბამისად;

## **მუხლი 11. თევზის მარაგის დაცვასთან დაკავშირებული ნებართვები და აკრძალვები**

### **ნებადართულია:**

1. შავ ზღვაში სანაპირო თევზჭერაზე უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი თევზჭერის ნებართვის საფუძველზე მოპოვებული თევზის რესურსის რეალიზაცია ან ნებისმიერი სხვა ფორმით გასხვისება სპეციალურად მონიშნულ ადგილების ფარგლებს გარეთ.

2. იმ პირთათვის, რომელთაც გააჩნიათ თევზჭერის ნებართვა შეუზღუდავი რაოდენობით თევზის მოპოვება.

3. რეგულირება იმ ობიექტების მიმართ, რომლებიც თევზჭერას აწარმოებენ ნებართვებით, არ მოქმედებს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით დაწესებული მოსაკრებელი VIII-XXIII ჯგუფის ცხოველთა სამყაროს ობიექტებზე. ასეთი ობიექტებისათვის მოსაკრებელი განისაზღვრება საქართველოს კანონით „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“.

## **მუხლი 12. წყალსატევში თევზსაჭერი იარაღის ჩაგების წესი**

### **1. აუცილებელია:**

ა) წყალსატევში ყოველი თევზსაჭერი იარაღის ჩაგება ტივტივა-ნიშნულებით, რომლებიც როგორც მინიმუმ უნდა აფიქსირებდნენ ბადე-იარაღის განაპირა წერტილებს;

ბ) ყოველი ასეთი ტივტივა-ნიშნულზე გარკვევით უნდა იყოს წარწერილი ნებართვის ნომერი.

2. წყალსატევში თევზსაჭერი იარაღის ჩაგების წესის დარღვევა ითვლება საქართველოს კანონის „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ დარღვევად.

## **მუხლი 13. სანაპირო თევზჭერის წესების დარღვევა და კონტროლი**

1. სანაპირო თევზჭერის წესების დარღვევად ითვლება ამ კანონით, შავი ზღვის კონვენციით, საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით თევზჭერის საქმიანობასთან დაკავშირებული წესების დარღვევა;

2. სანაპირო თევზჭერის განხორციელებისას წყლის ყველა ტიპის ზომამცირე სატრანსპორტო საშუალებების (ნაგები, ნახევარბარკასები, მოტოფელუგები და მცირე სიმძლავრის კატარღები) გამოყენებით, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიულ ზღვაში თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების მოპოვება ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებით დადგენილი თევზჭერისათვის აკრძალული საშუალებებითა და ხერხებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 500 ლარამდე. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 1000 ლარამდე, თევზსაჭერი იარაღისა და მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების კონფისკაციით;

3. სანაპირო თევზჭერის დროს გამოვლენილ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სასჯელების დადების უფლება აქვთ გარემოს დაცვის, ტრანსპორტის სფეროს მართვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის და სხვა შესაბამის ორგანოებს მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზედაც მოხდა სამართალდარღვევა;

4. ზომამცირე მცურავი საშუალებების მფლობელის პასუხისმგებლობა საქართველოს საზღვაო სივრცისა და სანაპიროს დაბინძურებისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

5. ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ინსპექციას უფლება აქვს ზომამცირე მცურავი საშუალებების მფლობელს დროებით აუკრძალოს ზღვაში გასვლის უფლება დასაბუთებული საფუძველებით.

6. ნებართვის მფლობელი, თევზჭერის სტატისტიკისათვის, ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აბარებს მოპოვებული რესურსისდეფაქტო დეკლარაციას, სპეციალურად ამისათვის შედგენილი გარემოს დაცვითი დეკლარაციის ფორმის მიხედვით, სადაც

აღნიშნული უნდა იყოს: მოპოვებული რესურსის რაოდენობა სახეთა მიხედვით განსაზღვრული დროში და ბაღე-იარაღების მიხედვით.

#### **მუხლი 14. ზომამცირე საცურო საშუალებების კონტროლის რეგისტრაციისა და ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ**

1. ზომამცირე საცურო საშუალებები მიეკუთვნება ტრანსპორტის სფეროს და ექვემდებარება სახელმწიფო მართვას.

2. „საზღვაო სამართლის შესახებ“, „გემების რეგისტრაციის შესახებ“ გაეროს კონვენციის გათვალისწინებით, საქართველოს საზღვაო კოდექსის თანახმად განისაზღვრება, ზომამცირე საცურო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაცია, მცურავი საშუალებების ტიპის, კუთვნილებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად;

3. ზომამცირე საცურო საშუალებებზე კონტროლის უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია (კონტროლს ახორციელებს ინსპექცია);

4. ზომამცირე საცურო საშუალებების მფლობელები ხელმძღვანელობენ ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული დებულებით განსაზღვრული წესებით;

5. სანაპირო თევზჭერის ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის ან/და ფიზიკური პირების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მცურავი საშუალებებით;

6. ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია ვალდებულია ზომამცირე საცურო საშუალებები რეესტრში შეიტანოს სარეგისტრაციო საბუთების მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია კანონის ფარგლებში პასუხს აგებს ზომამცირე საცურო საშუალებების რეგისტრაციაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის შემთხვევაში.

7. ზომამცირე საცურო საშუალებების რეგისტრაციას და ტექნიკური ზედამხედველობას ახორციელებს ზომამცირე საცურო საშუალებებზე ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ზედამხედველობის ინსპექცია ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესით.

#### **მუხლი 15. სანაპირო თევზჭერის ნებართვის მოწმობის შესახებ**

1. სანაპირო თევზჭერის შესახებ ნებართვის მოწმობა წარმოადგენს მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტს და გააჩნია სერია და ნომერი;

2. სანაპირო თევზჭერის ნებართვის მქონე პირებს თევზჭერის განხორციელების დროს უნდა გააჩნდეთ ნებართვის მოწმობის დედანი;

3. სანაპირო თევზჭერის მოწმობაში იწერება ნებართვის მფლობელის შესახებ რეკვიზიტები და საკუთრებაში ან მფლობელობაში მყოფი საცურო საშუალების ნომერი, თუ ასეთი გააჩნიათ;

4. სანაპირო თევზჭერაზე ნებართვა გაიცემა სათანადო მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში.

#### **მუხლი 16. სანაპირო თევზჭერის ნებართვაში ცვლილებების შეტანის შეჩერებისა და ანულირების შესახებ**

1. სანაპირო თევზჭერაზე გაცემულ ნებართვებში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ ნებართვის გამცემ ორგანოს;

2. სანაპირო თევზჭერის ნებართვის შეჩერება ან/და ანულირება ხდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ან მისი ქვემდებარე უფლებამოსილი ორგანოს მიერ დასაბუთებული საფუძვლებით;

3. სანაპირო თევზჭერაზე ნებართვის შეჩერებისა და ანულირების წესებს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ან მისი ქვემდებარე უფლებამოსილი ორგანო.

**მუხლი 17. სანაპირო თევზჭერასთან დაკავშირებული წარმოშობილი დაგების გადაწყვეტის შესახებ**

1. სანაპირო თევზჭერასთან დაკავშირებით წარმოშობილი დაგების გადაწყვეტა ხორციელდება სასამართლო წესით;

2. სანაპირო თევზჭერისას წესების დარღვევისათვის სანაპირო თევზჭერაზე ნებადართული პირები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

**მუხლი 18. ნორმატიული აქტები, რომელთა მიღება საჭიროა საქართველოს კანონის „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ ამოქმედებასთან დაკავშირებით**

1. „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საჭიროა გამოცემული იქნეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის დადგენილება ზომამცირე საცურაო საშუალებების სარგებლობის რეგისტრაციისა და ტექნიკური ზედამხედველობისა და გადასახადების ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესების შესახებ;

ბ) საქართველოს მთავრობის დადგენილება საბანაო პლაჟებით სარგებლობის წესების შესახებ;

გ) საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ბრძანება სანაპირო თევზჭერის წესების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შეიმუშაოს სანაპირო თევზჭერაზე ნებართვების ფორმები, მათი გაცემის წესი და პირობები;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ადგენს და გამოსცემს სანაპირო თევზჭერაზე ნებართვების შეჩერებისა და ანულირების წესებს ამ კანონის მიღებიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს კანონების ჩამონათვალში და მთავრობის შესაბამის დადგენილებებში შევიდეს სათანადო ცვლილებები და დამატებები ამ კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

**მუხლი 19. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 თვეში.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2008 წლის —  
№ —